



ფეოდალური “სავაზიროს ვაზირთუპირველესი მნიშვნეპარტუხუცესი – ჭყონდიდელი და სამხედრო ხელისუფალი – ამირსპასალარი”

რეზიუმე

ქართველ ისტორიკოსთა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა „ვაზირი“ და „ვაზირთა საბჭო“, მაინც იკვეთება იმ დროის წყაროებში ფაქტი, რომ XIII ს-ის დასაწყისში მოიხსენიება ერთი ვაზირი „მწიგნობართუხუცესი“ – ჭყონდიდელი. მთავრობის ფუნქციას ასრულებდნენ დარბაზის რიგის მაღალი თანამდებობის პირები მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეთაურობით. ჭყონდიდელი პირველ რიგში იყო მეფის მრჩეველი სახელმწიფო საკითხებში როგორც საშინაო, ასევე საგარეო. XIII ს-ის პირველ მეოთხედში მეფის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გავლენა მოიპოვა ეკლესიაზე, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჭყონდიდელს. მას როგორც საეკლესიო მოხელეს გარდა გელათისა, ყველა მონასტერი და ეკლესია ემორჩილებოდა. ეს თანამდებობა ქართული სახელმწიფოს გაძლიერების გარიჟრაჟზე წარმოიშვა, შემოიღო დავით აღმაშენებელმა. მისი ვარაუდი გამართლდა. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი მართლაც მეფის ხელიუფლების გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა.

მეფის შემდეგ უმაღლეს სამხედრო ხელისუფალს წარმოადგენდა ამირსპასალარი, როგორც სამხედრო ერთეულთა მეთაური. აქ იკვეთება ისტორიკოსთა სხვადასხვა შეხედულებები და ნარკვევები თუ როდის იქნა შემოღებული ეს სახელწოდება. ამირსპასალარს გარდა სამხედრო საქმეებისა, სხვა პრივილეგიებიც ჰქონდა, მაგრამ პირველობისთვის არასდროს გამოუყენებია. ამირსპასალარის მოადგილე სამხედრო სამხედრო უწყებაში იყო ამირახორი.

როგორც ვხედავთ ვაზირთა რაოდენობა თანდათან იზრდება, იზრდებოდა მათი ფუნქციებიც, და რაც მთავარია მათ უნდა ემუშავათ შეთანხმებულად და გაეტარებინათ ერთიანი პოლიტიკა. სავაზირო გახდა მეფის დასაყრდენი ორგანო, რამაც ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და ცენტრალიზაციას.

ლიანა მერეbashვილი
გორის უნივერსიტეტი მოწვეული
სპეციალისტი
E-mail: lamerebashvili12@gmail.com

საკვანძო სიტყვები: „ვაზირი“, „სავაზირო“, „მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი“, „სააჯოკარი“, „ამირსპასალარი“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, სამეფო, მეფე.

შესავალი

სამეცნიერო სტატიაში საუბარია: თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა „სავაზიროს“ ანუ მართველობის უმაღლესი ორგანოს წარმოშობას საქართველოსთვის, საერო სამართლის პირველ ძეგლზე: „ხელმწიფის კარის გარიგება“, სადაც მოხსენიებულია პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი თავისი ფუნქციებით და ქართველ ისტორიკოსთა, მეცნიერთა შეხედულებები, აზრთა სხვადასხვაობები ამ სახელის წარმოშობაზე, „სააჯო“ კარზე, როგორც სასამართლო ორგანოზე, ტერმინ „ამირსპასალარის“ არაბულ-სპარსულ წარმონაქმნზე, მის თანაშემწე ამირახორზე და მათ ფუნქციებზე.

წინა გამოცემის სამეცნიერო ნაშრომში: „სავაზიროს წარმოშობა ფეოდალური მონარქიის საქართველოში“ საუბარი იყო ქართველ მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებებზე ტერმინი „ვაზირი“ და „სავაზიროს“ წარმოშობასთან დაკავშირებით, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა თითოეულმა ვაზირმა ცალ-ცალკე და მთლიანად ვაზირთა ჯგუფებმა, როგორც „განზრახთა“ საბჭო და „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეებმა და მეფესთან დაახლოებული პირებმა ცენტრალური მმართველობის უმთავრეს სფეროთა ხელმძღვანელებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის ძლიერებაში. ქვემოთ მოკლედ შევეხებით თითოეული „ვაზირის“ ფუნქციებს.

სავაზიროში განცალკევებით იდგა მწი-



გნობართუხუცესი ჭყონდიდელი, როგორც პირველი მინისტრი. ცალკე იყო გამოყოფილი „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი – ათაბაგი, ამირსპასალარი, და მანდატურთუხუცესი და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი-მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი უფრო მეტი გავლენითა და პატივით სარგებლობდა ვიდრე „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი და საფიქრებელია, რომ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური, სამხედრო და საშინაო საქმეების განხილვა ძირითადად ამ ვიწრო წრეში ხდებოდა, რა თქმა უნდა მწიგნობართუხუცესთან ერთად. შედარებით უფრო გვიან უნდა იყო შექმნილი „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი. სავაზიროს სხდომას მეფე თავმჯდომარეობდა. სავარაუდოა, რომ როცა მეფე არ იყო „თავმჯდომარეობდა „ვაზირთა უპირველესი“ - მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელის შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ცენტრალიზაციის, მისი გაძლიერებისა და წინსვლის საქმეში. „პირველად მწიგნობართუხუცესი მხოლოდ X-XI საუკუნის ძეგლშია მოხსენიებული, სახელდობრ იმ ხრტილას მომხდარ სამღვდლო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში, რომელსაც ეწოდება „სიტყვს-გება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღუარისა“. ამ თხზულებაში ბავრატ მეფის თანამედროვედ დასახელებულია „მწიგნობართუხუცესი მეფისა სახელით ეფთვიმე. ჯერჯერობით ამაზე უწინარეს ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩვენ მწიგნობართუხუცესის ხსენება არ მოგვეპოვება, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ეფთვიმე მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელად არ არის წოდებული, ამასთანავე ვგონებ, ერის კაცი უნდა ყოფილიყო და არა სამღვდლო“. შემდეგ მწიგნობართუხუცესი გვხვდება 1085 წელს მოსე ხანთბულის მიერ გადაწერილ გიორგი მთაწმინდელის ახალნათარგმნ თხზულების ბოლოში. გიორგი მონაზონი და მწიგნობართუხუცესი მოიხსენიება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში, რომელიც 1110 წელს ჭყონდიდელად იწოდება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებების, რომ მწიგნობართუხუცესი „ერისკაცი უნდა ყოფილიყო და არა სამღვდლო“, საპირისპიროდ ნ. ბერძენიშვილმა XI საუკუნის მწიგნობართუხუცესების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ ისინი სასულიერო პირები იყვნენ, რომ შემონახულება აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო მწიგნობართუხუცესობის მისაღებად. დავით აღმაშენებლის დროს მოხდა მწიგნობართუხუცესის აღზევება, მის მაღალ იერარქიულ პატივში აყვანა. რადგან ქვეყნის გაერთიანები-

სა და დიდგვაროვანთა წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო ეკლესიაზე, ამ ძლიერ და უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციაზე, თავისი გავლენა არ გაეგრძელებინა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება გამოჩნდა, რომ ეკლესია სახელმწიფო ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. ეკლესიასთან ურთიერთობაში მეფის პოლიტიკის მიმართულების მიმცემი მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი უნდა ყოფილიყო; ჭყონდიდელობა კი უნდა გამხდარიყო დამაკავშირებელი რგოლი სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. როგორც ი. ანთელავა აღნიშნავს: „მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელის მსგავს სახელს არ იცნობდა მეზობელი ქრისტიანული ბიზანტია; სამაგიეროდ, მასთან ახლოს მდგომი ინსტიტუტი დამოწმებული გვაქვს დასავლეთ ევროპაში. საფრანგეთში დამოწმებულია თანამდებობა „უმაღლესი კანცლერისა“, რომელიც ჩვეულებრივ რეიმრის არქიეპისკოპოსი იყო. ინგლისის მეფის სასახლის მთავარი მოხელეც კანცლერი იყო. ინგლისის კანცლერი ჩვეულებრივ კენტენრბერის არქიეპისკოპოსს წარმოადგენდა. არსებობს ნუსხა საფრანგეთისა და გერმანიის კანცლერებისა, მოყოლებული ფრნკთა იმპერიიდან, საიდანაც ჩანს, რომ ისინი სასულიერო პირები: აბატები, ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები იყვნენ.

შემდეგ მკვლევარი დასძენს: „როგორც ვხედავთ, საქართველო თავისი ფეოდალური სტრუქტურით და მართველობის ტიპითაც, ახლოს დგას შუასაუკუნეობრივ დასავლეთ ევროპასთან“.

მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელის ფუნქციების გასარკვევად ივ. ჯავახიშვილმა მიმართა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთ ცნობას გიორგი ჭყონდიდელის შესახებ:

„კაცი სრული ყოფილა სიკეთითა სულითა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონებითა, განზრახი სავსე და ფრთხილი, თანააღმზრდელი აღმზრდელი პატრონთა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა“. - ეს ცნობა შეეხება კონკრეტულად გიორგი ჭყონდიდელს და წარმოადგენს მისი ღვაწლის დახასიათებას. მაგრამ ბერი რამ მწიგნობართუხუცესთა საერთო ნიშან-თვისება უნდა ყოფილიყო. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მწიგნობართუხუცესი, მაშასადამე იყო მეფის „გამზრახი“, ანუ მრჩეველი და მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანაგამკაფელი“, ანუ თანამშრომელი იგი „თავს ადგა პატრონს მსახურებათა“ ესიგი მეფის მსახურებას სათავეში უდგა. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის კო-



მპეტენციას” ყოველი საურავი” შეადგენდა და მისი ეს უფლება მეფის „მამობით” იყო დასაბუთებული.

ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ჭყონდიდელს არ ჰქონდა უფლება მეფის გარეშე „საურავისა”. მას მხოლოდ მეფესთან ერთად და ამ უკანასკნელის დასტურით შეეძლო „ურვა”. მთელი მისი ხელისუფლება მეფისგან იყო დელეგირებული.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, როგორც მეფისა და კარის უპირველესი მიხელე, ახორციელებდა ცენტრალური აპარატის ყველა უწყების კონტროლს და სათანადო სანქციების მიღების შემთხვევაში მეფის სახელით ახორციელებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებს. მწიგნობართუხუცესი კონტროლს უწევდა და თავისი ხელქვეითების მეშვეობით რევიზიას უკეთებდა მეფის ქონებას-საჭურველსა და ზარდახანას. თავისი შტატით ამზადებდა და აფიქსირებდა სავაზიროს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს. სამეფო საქონლის რეგისტრაცია და რევიზია – კონტროლი, რომელსაც ახორციელებდა მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელის სახელო, საშუალებას აძლევდა პირველ მინისტრს შეეღწია ყველა უწყებასა და სამსახურში, არა როგორც ამ უწყებათა მმართველს, არამედ როგორც სამეფო კონტროლიორს და სახელმწიფო სახლის „განმგებელს”, სახლთუხუცესს.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მფარველობაში იყვნენ „ქვრივობლები და უღონონი. წყაროებში ჭყონდიდელი იწოდება „სადმროთა მსჯავრითა მართლმსაჯულად”, „ხელისმჭრობელთა უღონოთა და ქვრივთა”. „ხელმწიფის კარის გარიგების” მიხედვით, ჭყონდიდელი „ობოლთა და ქვრივთა მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკითხავს”. „მწიგნობართუხუცესზე, როგორც „მართლმსაჯულზე” - „ხელმწიფის კარის გარიგებაში” ვკითხულობთ: „ჭყონდიდელი ორშაბათ დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდებოდეს, ობოლთა და ქვრივთა და მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველთვის საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოიხსენიებს, რაც ვის რა ჭირს”.

„სააჯო კარის “ შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც დაუზუსტებელია. ივ. ჯავახიშვილი „სააჯო კარის” შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც დაუზუსტებელია. ივ. ჯავახიშვილი „სააჯო კარის” ჩამოყალიბებას დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს და უმაღლეს საა-

პელაცო სასამართლოდ, სახელმწიფოს უზენაეს სასამართლო ორგანო მიიჩნევს. საფიქრებელია, რომ „სააჯო კარი” დავით აღმაშენებლამდეც არსებობდა, შესაძლოა სხვა სახელით. არც ის არის უეჭველი, რომ დავითის მიერ „სააჯო კარის” ორგანიზაციაში შეტანილი სიახლე მასში მწიგნობართუხუცესის დასმა უნდა იყოს. რადგან მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, ისევე როგორც „სააჯო კარი” ადრეც არსებობდა არ არის გამორიცხული, რომ ამ უკანასკნელს მწიგნობართუხუცესი ედგა სათავეში.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის კომპეტენციას, „ხელმწიფის კარის გარიგების” მიხედვით შეადგენდა: „გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიოანი დასნი არიან,”—ყველა ჭყონდიდელის და საწოლის მწიგნობრის სახელოსა /ა/“-ო. ი.ჯავახიშვილის აზრით” „მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმეები ეკლესიისა და მონასტრებისა, სამღვდელოებისა და მოწერეთა შესახებ”.

ასეთ საქმეებად მას მიაჩნია “შეუვალობისა და სხვადასხვაგვარი უპირატესობის მინიჭებისა თუ წართმევის” საკითხები. ამასთან დაკავშირებით, იანთელავა მართებულად შენიშნავს : “ ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყო, ერთი იმიტომ, რომ ყველა საქმეები კათალიკოსის ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენდა და მეორე ის, რომ მწიგნობართუხუცესის ეფლება და პრივილეგია არ იყო და ვერც იქნებოდა შეუვალობის ბოძება თუ წართმევა.

მწიგნობართუხუცესის სახელოსა და კომპეტენციას შეადგენდა სამეფო მონასტრები და მათი მირთვა-გამგეობა.

მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელს გარდა ზემოთ აღნიშნული ფუნქციებისა, ჰქონდა აგრეთვე სამხედრო საქმესთან დაკავშირებული, საგანმანათლებლო, საგარეო ფუნქციებმა “ხელმწიფის კარის გარიგების” ცნობით 26 მწიგნობარი ექვემდებარებოდა.

მათ სამოხელეო ნიშანს “საწერელი” წარმოადგენდა. მწიგნობართუხუცესის მოადგილე საწოლის მწიგნობარი იყო. ა. კიკვიძის მართებული შენიშვნით, საწოლის მწიგნობარი უშუალოდ მეფეს პირადი მდივანიც იყო. მწიგნობრებს შორის გამოირჩეოდა ზარდახნის მწიგნობარიც. სხვა მწიგნობრების შესახებ წყაროებში ძალზე მცირე ცნობები მოიპოვება.

ამირსპასალარი - ივ.ჯავახიშვილი ტერმინ “ამირსპასალარს” არაბულ-სპარსულ კომპოზიტად თვლიდა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ეს “ორნაწილელი” სიტყვა არც სპარსულში და არც



არაბულში არ იხმარებოდა: „არაბულად მთავარსარდალს ამირსპასალარს კი არ უძახდნენ, არამედ „ამირ ალ-ჯუბუშ-ს“. სპარსეთში კი ჯარის მბრძანებელს მარტივად „ამიფაჰსალარი“... ანუ სპასალარი ეწოდებოდა და თავში „ამირი“ არ „უჯდა“-ო. მოგვიანებით შ. მესხიამ დაადგინა, რომ ეს ტერმინი დადასტურებულია სელჯუკთა სამოხელეო წყობაში ხორასანის სახელმწიფოს უკანასკნელი სულთნის, მელიქ-შაჰს სანჯარის /1119-1157/ საბუთებში. შ. მესხიამ აღნიშნა, რომ ქართული ამირსპასალარი ძირეულად განსხვავდება სელჯუკურისაგან, რადგან მას, საქართველოს სამხედრო მინისტრს, გაცილებით უფრო დიდი ტრადიცია ჰქონდა, ვიდრე სელჯუკურს, ე. ი. სელჯუკურიდან შეთვისებული მხოლოდ ტერმინი ჩანსო.

თვით სახელწოდების მიხედვით „ამირსპასალარი“ სპასალართა უფროსს, ე.ი მსხვილ სამხედრო ერთეულთა მეთაურების უფროსს აღნიშნავს. როგორც შ. მესხია ფიქრობს, ამირსპასალარობა სპასპეტ-სპასალარობის განვითარების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სიტყვა „ამირსპასალარი“ პირველად გიორგი III-ის დროს გვხვდება.

შ. მესხიამ და შემდეგ იანთელავამ კი გადაჭრით ამირსპასალარობის შემოღება დავით აღმაშენებლის რეფორმებს დაუკავშირეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამირსპასალარის თანამდებობა გიორგი III-ის მეფობამდე შეიქმნა დავით აღმაშენებლის დროს კი ეს თანამდებობა ჩამოყალიბებას იწყებდა. ყოველ შემთხვევაში, XII საუკუნეებამდე მას წყაროებში ვერ ვხვდებით.

ამირსპასალარი მეფის შემდეგ უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი იყო. „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვაუწყებს, რომ „ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელი არის; მას წინათ არავინ იტყვის, რომ ვეზირობა იყოს,“ ე.ი სავაზიროში ლაშქრისა და ომის საკითხებზე პირველი სიტყვა, ვითარცა სამხედრო მინისტრს, ამირსპასალარს ეკუთვნოდა. მას მხედართმთავრის ფუნქცია ჰქონდა. ამირსპასალარს თავისი თანამდებობის ნიშნად „ხრმალი: ჰქონდა და მეფის კურთხევის დროს „ხრმალ-შემორტყმული მარჯვენით კერძო ჰყვებოდეს მეფესო“.

საეკლესიო ხელდასხმის შემდეგ „ხრმალი“ მეფისთვის ამირსპასალარს უნდა შეერტყა. ამირსპასალარის გარეშე „ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების.“ ივ.

ჯავახიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: „ქვეყნის გაცემა სახარაჯოდ ან მამულის წყალობა საყმოდ ვისთვისმე ამირსპასალარის დაუკითხავად იმიტომ არ შეიძლებოდა, რომ ლაშქარნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყნის გაცემით, წყალობით დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხებულიყო, ამიტომ ამირსპასალარის დაკითხვა იყო საჭირო.“ ი. ანთელავა კი თვლის, რომ ამირსპასალარის „სათათბირო“ მიწის ის ფონდი უნდა ყოფილიყო, რომელიც მეფეს საჯარო საწყისით ეკუთვნოდა, რომელსაც ერისთავები განაგებდნენ და საიდანაც ამირსპასალარის ხელქვეითი ლაშქარი, ერისთავთა „ქუეშე დაწესებული“ სამეფო სპა „გამოდიოდა“, უნდა აღინიშნოს რომ იმ პერიოდში მიწიმფლობელობა პირდაპირკავშირში იყო სამხედრო საქმესთან, რადგან ყოველ ფეოდალს თავისი რაზმი უნდა გამოეყვანა ლაშქრობის დროს. ამირსპასალარის სახელოში შედიოდა „საქვეყნო ლაშქარი“ და „როქის სპა“ ასევე ყივჩაღთა ლაშქარი მათი გადმოსახლების შემდეგ.

სამეფო ლაშქრის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა ადგილობრივი ქართული ლაშქარი, რომელიც ერისთავთა „ქუეშე იყო დაწესებული“. ბუნებრივია, იგივე კონტიგენტი შეადგენდა ამირსპასალარის სახელოს ძირითად ბირთვსაც.

ამირსპასალარის მოადგილე, სამხედრო უწყებაში თანამდებობითა და მნიშვნელობით მეორე პირი ამირახორი იყო. იგი სავაზირო სხდომასაც ესწრებოდა, თუმცა სათათბირო ხმის უფლებით როცა შეიკრიფებოდნენ მაშინ უნდა გამოეთქვა თავისი აზრი: ამილახორს „ვეზირობა ესმის და იგი არას იტყვის, რასაც არა ჰკითხავენ და რა კითხონ, მაშინდა პასუხს იტყვის“. ამირსპასალარივით ამირახორსაც თანამდებობის ნიშნად, როგორც სამხედრო უწყების დიდ მოხელეს, „ხმალი“ ეკუთვნოდა. იგი არა მარტო მეფის კურთხევის დროს იყო „ხრმალ-შემორტყმული“, არამედ „ხრმალი ამირახორსა არტყია დარბაზობასა ზედა“-ო.

სიტყვა „ამირახორი“ /ამირ-ე-ახურ/ ზედმიწევნით შეესატყვისება მეჯინიბეთუხუცესს. მუსლიმურ სამყაროში ამირახორი სულთანის ცხენების ზედამხედველი იყო. ამირახორის გამგებლობაში იყო „საჯინიბო“ და „საჯინიბოს“ მოხელეები - მეჯინიბეები; აგრეთვე „სარე-მო“ მერემეთუხუცესითა და მერემეებით. ამირახორსვე ემორჩილებოდა მეაბჯრეთუხუცესი თავისი სახელოთი.



დასკვნა

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ჩამოგვიყალიბდება ცნობები „ხელმწიფის კარის გარიგების“ როგორც იურიდიული შინაარსის სახელმწიფო-სამართლებრივ ძეგლზე, ძეგლში

წარმოდგენილ ფეოდალური მონარქიის საქართველოზე, რომლის სათავეში დგას მეფე და რომლის უფლებები იზღუდება დარბაზის მიერ.

მიუხედავად მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა სავაზირო მთლიანად ემსახურება სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ნადარეშიძე, „სავაზირო“ – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ. 1984, გვ. 640-641
2. ივ. ჯავახიშვილი თხზ. ტ. VI, გვ. 270-290.
3. „დიდი სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975, გვ. 558.
4. ნ. ბერძენიშვილი, „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში“, გვ. 10, 34.
5. ილია ანთელავა „დავითისა და თამარის სახელმეფო“ გვ. 53 გვ. 60.

6. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ III, გვ 638-640.
7. „ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის გამოცემა ტ. II, გვ. 81.
8. „ქართული სამართლის ძეგლები“, ივ. სურგულაძის გამოცემა, გვ. 34.
9. ა. კიკვიძე „ქართული სახელმწიფო დარბაზი“ და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“ – თსუ. შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 220.
10. შ. მესხია „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“, თბილისი 1979წ. გვ. 18.